# რა აწუხებს ხალხს რუსთავსა და გარდაბანში?

## ფოკუს ჯგუფის დისკუსიების შედეგები

ოქტომბერი 2020

**„[პრობლემებში] პირველია ხალხის ნიჰილიზმი : ჰაერის დაბინძურება ყველას ეხება, მაგრამ არ გამოდიან აქციაზე. არადა, ეს პირველი პრობლემაა, მეორე არის ტრანსპორტი, რომელიც არც ადაპტირებულია და არც მოწესრიგებული, მესამე - უმუშევრობა. უნდა იზრუნონ ახალგაზრდების ადგილზე დასაქმებაზე.“**

32 წლის კაცი, თვითდასაქმებული, რუსთავი.

**„{თუ რამე გაწუხებს,} აუცილებლად შენ უნდა დაწერო განცხადება, უნდა განიხილონ და მერე მოვიდნენ. თვითონ არ გაქცევენ ყურადღებას. ეს კი დროს მოითხოვს.“**

70 წლის ქალი, პენსიონერი, რუსთავი.

**„მოსახლეობის ხმა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი მოსმენაა რთული. მარტო მოსმენა ხომ არ კმარა?! თუ არ გაკეთდა საქმე, მაშინ რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.**

50 წლის ქალი, გარდაბანი.

## სიღარიბე და უმუშევრობა

**უმუშევრობა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც სიღარიბეს იწვევს;**

**დასაქმებისას ნეპოტიზმი და ხანგრძლივი გამოცდილების მოთხოვნა ხელის შემშლელია;**

**სიღარიბის დასაძლევად სოციალური დახმარების ნაცვლად მუნიციპალური საწარმოების გახსნას და ხალხის დასაქმებას უკეთესი შედეგი ექნება.**

„ხშირ-ხშირად იკეტება წარმოებები და 1-2-წლიანი დასაქმების შემდეგ ისევ უმუშევარი რჩება ხალხი“

68 წლის ქალი, რუსთავი.

„პენსიით ვერ გაიტან თავს. შვილი რომ არ გეხმარებოდეს, არ გეყოფა. ყველაფერი გაძვირდა.“

72 წლის კაცი, რუსთავი, პენსიონერი.

“თბილისიდან მოჰყავდათ ხალხი ავტობუსებით სამუშაოდ. მთელი თბილისი აქ მუშაობდა. ახლა ყველაფერი განადგურებულია და ვაზიანელების 99 % უმუშევარია. იძულებულნი არიან, წავიდნენ ლილოში და ვიღაცის მონებად იმუშაონ. დიდი რესურსია, რომ მუნიციპალური საწარმოები გაიხსნას. ტერიტორიაა იმხელა, იტაცებენ და ქინძს თესავენ, როცა შეიძლება მუნიციპალური საწარმოების აშენება.“

52 წლის ქალი, ვაზიანი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი.

„სოციალური დახმარება საერთოდ არ უნდა არსებობდეს. რაც თანხაა ამაზე გამოყოფილი, იმით უნდა აშენდეს საწარმოები და დასაქმდეს ხალხი.“

55 წლის ქალი, რუსთავი.

„განცხადებები ტყუილად დევს. უკვე ნაცნობობით ჰყავთ აყვანილი კადრი.“

21 წლის კაცი, რუსთავიდან, უმუშევარი.

## ჰაერის დაბინძურება

**რუსთავში ჰაერის დაბინძურება ძალიან მწვავე პრობლემაა;**

**გარდაბანშიც საწარმოები საგრძნობლად აზიანებს გარემოს**

„აქვეა ნახევარ კილომეტრში „ბოო-ბოოს“ ფაბრიკა, [რის გამოც] სულ გახმა ნაძვები. ნაძვნარი იყო, ჰაერი იყო, მაგრამ ყველაფერი გადახმა.“

25 წლის ქალი, გამარჯვება, გარდაბნის მუნიციპალიტეტი.

## განათლების სისტემის გაუმართაობა

**ბაღების არასაკმარისი რაოდენობა და რეგისტრაციის სისტემის გაუმართაობა დიდი დაბრკოლებაა;**

**სკოლაში ახალი მასწავლებლების შესვლას ბარიერები ეღობება, მაშინ, როცა მოქმედი მასწავლებლების კვალიფიკაცია დაბალია;**

**სასკოლო წიგნების უფასოდ დარიგება მნიშვნელოვანი შეღავათია ოჯახებისათვის;**

**სკოლაში პროფორიენტაციის გაკვეთილების არარსებობა ხელს უშლის შესაფერისი განათლების მიღებასაც და დასაქმებასაც;**

**პროფესიული განათლება არაპოპულარულია და ხელმისაწვდომი არაა;**

**სასკოლო წიგნების უფასოდ დარიგება მნიშვნელოვანი შეღავათია ოჯახებისათვის;**

**არაფორმალური/სახელოვნებო განათლების შესაძლებლობები თითქმის არ არის.**

„რეგისტრაციის გამო მშობლები საცხოვრებელი ადგილიდან შორ მანძილზე ატარებენ ბავშვებს [ბაღში] და ამის გამო 7 საათზე უწევთ პატარების გაღვიძება.“

65 წლის ქალი, რუსთავი.

„მე მგონი, უნივერსიტეტში მოხვედრა უფრო ადვილია, ვიდრე ბაღში.“

23 წლის ქალი, რუსთავიდან, დროებით დასაქმებული.

„რთული ეტაპებია ბაღიდან სკოლაში და სკოლიდან უნივერსიტეტში გადასვლა. რეპეტიტორის გარეშე [ახალგაზრდა ეროვნულ გამოცდებს] ვერ აბარებს, ამის მიზეზია პროგრამების შეუსაბამობა.“

32 წლის კაცი, რუსთავიდან, თვითდასაქმებული

„ადრე ერთი წიგნის ყიდვაც ძალიან უჭირდა ადამიანს.“

65 წლის ქალი, რუსთავი.

„72 წლის მასწავლებელი გვყავდა და ინფარქტი კინაღამ დავმართეთ ჩვენი ქცევით. უნივერსიტეტშიც ხნიერი პედაგოგები არიან, საბჭოთა კავშირის დროინდელი აზროვნება აქვთ და მეთოდები.“

21 წლის კაცი, რუსთავიდან, დასაქმებული.

„სკოლაში არ არის პროფორიენტაციის გაკვეთილები. სკოლა ახალგაზრდებს არ ეხმარება პროფესიის არჩევაში. უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ ძალიან ბევრი იცვლის პროფესიას, რადგან გააზრებული არ აქვთ არჩევანი. ვფიქრობ, რომ ერთი წელი ზოგად საგნებს უნდა სწავლობდნენ და მეორე კურსიდან ირჩევდნენ პროფესიას .“

24 წლის ქალი, რუსთავიდან, დასაქმებული.

„კარგია, რომ დაირღვა სტერეოტიპი, რომ ყველას დიპლომი უნდა ჰქონდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, დასაქმებისას დიპლომს ითხოვენ. კარგია, რომ პროფესიული სწავლება წამოვიდა წინ, თუმცა აუცილებელია, რომ ბევრად მეტი ყურადღება მიექცეს.“

21 წლის კაცი, უმუშევარი, ვაზიანი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი.

„პროფესიული განათლება პრობლემაა გარდაბანში. ადრე აქ ყოფილა მაგარი პროფსასწავლებელი, გადასარევი შენობით, და ახლა აღარ არის. არადა, კადრები გვჭირდება. რომ დაგჭირდეს, ერთ ელექტრიკოსს ვერ იპოვი გარდაბანში.“

57 წლის ქალი, გარდაბანი, დასაქმებული.

„როცა სახელმწიფო ვერ აფინანსებს სტუდენტს, როგორ იქნება უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომი? ჩემს სოფელში მცირემიწიანი მოსახლეობაა და ახალგაზრდებს არ აქვთ საშუალება, გადაიხადონ სწავლის საფასური. სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს ყველას. ოღონდ მაგრად ,,გაწურულები“ უნდა გავიდნენ ბოლოში. არ არის საჭირო, რომ ყველამ აიღოს დიპლომი. როგორც ამერიკაშია, ვისაც შეუძლია, ვისაც ნიჭი აქვს, იმან აიღოს დიპლომი.“

73 წლის კაცი, პენსიონერი, რუსთავი.

„სამსახურში მიღებისას ითხოვენ გამოცდილებას. არადა, რაღაცით ხომ უნდა დავიწყოთ? ძალიან ბევრი გამოცდა აქვს ჩასაბარებელი პედაგოგს. პროფესიაში შესვლა ძალიან ჭირს.“

25 წლის ქალი რუსთავი, უმუშევარი

„რამე რომ შეისწავლოს ბავშვმა და განვითარდეს არაფორმალური განათლების კუთხით, ასეთი არაფერია. ვიღაცას ხომ აქვს რაღაცისადმი მიდრეკილება, მაგრამ ვერ ვითარდება.“

35 წლის ქალი, გარდაბანი, დასაქმებული.

## ინფრასტრუქტურის გაუმართაობა

**სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები მოუწესრიგებელია;**

**ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა დასაქმებას ძალიან უშლის ხელს;**

**საზოგადოებრივი ტუალეტების არარსებობა მნიშვნელოვანი პრობლემაა.**

„6 საათის შემდეგ ტრანსპორტი აღარ მუშაობს. [სამსახურის] მერე სახლში როგორ მოვიდეს ადამიანი?“

55 ქალი, გარდაბნის რაიონი.

„ბევრჯერ გამიგონია ასეთი ნათქვამი: მე რომ წავიდე და ვიმუშავო, წასვლა-წამოსვლისთვის ფული არ მეყოფა. აი, ,,ნიკორაში“ რომ დასაქმდეს სტუდენტი და აიღოს 500 ლარი, ტრანსპორტზე დასჭირდება 250 ლარი.“

50 წლის ქალი, გარდაბანი.

„სტადიონს რომ აშენებენ, ტუალეტიც ხომ შეიძლება მიაშენონ? ბავშვს რომ დასჭირდეს, სად უნდა წავიდეს?“

ქალი, 23 წლის, ვაზიანი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი.

„მე ვერ ვგრძნობ თავს უსაფრთხოდ ლიფტში და ტრანსპორტში.“

32 წლის კაცი, რუსთავი, თვითდასაქმებული

„იმას ვერ ვიტყვით, რომ წინ არ მივდივართ, მაგრამ რის ხარჯზე? სამოქალაქო აქტივიზმი რომ არ იყოს, წინ ვერ წავალთ. დიდი ბრძოლა გვჭირდება ყველაფრის მისაღწევად. ეს რომ არ იყოს, ისევ იმ დონეზე ვიქნებოდით, რაც იყო. ინიციატივა არ მოდის მერიიდან, ყველაფრის შეხსენება სჭირდებათ.“

ქალი, 23 წლის, რუსთავი, დროებით დასაქმებული.

## ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ხარისხი

**სამედიცინო მომსახურება ძალიან ძვირია და მიუწვდომელი;**

**სამედიცინო დაწესებულებები ძალიან მოუწესრიგებელი და არაორგანიზებულია;**

**წამლების სიძვირე ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას კიდევ უფრო ამცირებს.**

„რეზონანსულ ტომოგრაფიულ გამოკვლევაში გადავიხადე 350 ლარი, როცა ხელფასი მაქვს 600 ლარი. რაღ გინდა გამოკვლევა, თუ შიმშილით მოკვდები მაინც.“

23 წლის კაცი, რუსთავი, დასაქმებული.

„ძალიან ჭირს სასწრაფო დახმარების მანქანები. მაგალითად, სართიჭალა ამხელა სოფელია და მხოლოდ ორი მანქანა ემსახურება.“

57 წლის ქალი, სართიჭალა, გარდაბნის მუნიციპალი ტეტი.

„კარგი იქნება, თუ იმათთვის, ვისაც ძალიან სჭირდება გადაუდებელი მკურნალობა, დაფინანსების ცალკე ფონდი შეიქმნება. თორემ გული მიკვდება, ყოველდღე თითო ლარის გადარიცხვას რომ ითხოვენ ავადმყოფებისათვის.“

68 წლის ქალი, დასაქმებული, პენსიონერი.

„რაღ მინდა ამბულატორია, როცა 5000 კაცზე ერთი ექიმია.“

50 წლის ქალი, გარდაბანი.

## უსაფრთხოება

**პოლიციის პროფესიონალიზმის მიმართ ნდობა შერყეულია.**

**ქალები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების გამო;**

**მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო ფიზიკური საფრთხის შეგრძნება არსებობს.**

„ „უსაფრთხოდ კი ვგრძნობთ თავს, მაგრამ ხშირად გვაჩერებს პოლიცია, გვიღებს ფოტოს. იმდენი ფოტო დაუგროვდათ ჩვენი, რომ ალბათ ალბომს შექმნიან. ძირითადად ბიჭებს გვაქვს ეს პრობლემა. დავიღალე უკვე, 20-ჯერ გადამიღეს, მგონი. თუ ეტყვი „რამეს, გლანძღავენ. თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას ცუდად იყენებენ. უხეშად გესაუბრებიან, თავს გამეტებენ, გიწვევენ, რომ აჰყვე.“

21 წლის კაცი, დასაქმებული.

„მე პოლიციის იმედი მაქვს, თუმცა პოლიციელების მომზადების დონე უნდა აიწიოს. ჰქონდათ სათანდო დონე, მაგრამ ჩამოვარდა.“

ქალი, 27 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული.

„გოგონები ვერ ვგრძნობთ თავს უსაფრთხოდ, რადგან გვისიგნალებენ მანქანებიდან.“

23 წლის ქალი, რუსთავი.

პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხადრაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს USAID, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ის შეხედულებებს. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE
სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

CENTERS.GE
დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCC